

შპს ინშუარ სოფთ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2024-31.12.2024 პერიოდისთვის	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 01.01.2024-31.12.2024 პერიოდისთვის....	5

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი ენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები	9
5. სავაჭრო მოთხოვნები	9
6. გადახდილი ავანსები	9
7. ძირითადი საშუალებები	9
8. გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	10
9. საწესდებო კაპიტალი	10
10. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	11
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11

შპს ინშურ სოფთ ჯორჯია
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	7	183,100	335,042
ძირითადი საშუალებები			
სულ გრძელვადიანი აქტივები		183,100	335,042
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		-	-
წინასწარ გადახდილი ავანსები	6	10,913	13,045
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	5,280,127	6,401,057
საგადასახადო ქატივი		5,302	4,275
ფულადი სახსრები და მათი	4	253,897	136,943
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,550,239	6,555,321
სულ აქტივი		5,733,339	6,890,363
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	4,021,489	5,428,297
საიჯარო ვალდებულება		-	-
გადასახდელი ხელფასები		-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,021,489	5,428,297
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		1,711,850	1,462,066
სულ საკუთარი კაპიტალი		1,711,850	1,462,066
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,733,339	6,890,363

შპს ინშურ სოფთ ჯორჯია / Insure Soft Georgia LLC

დირექტორი/ Director

სერგეი სინიანსკი / Sergiy Synyansky 

თბილისი, საქართველო

01.09.2025

შპს ინშურ სოფთ ჯორჯია
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	9	7,319,746	10,209,714
რეალიზებული პროდუქციის		-	-
საერთო მოგება		7,319,746	10,209,714
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი		(30,321)	(13,467)
ხელფასი და სხვა სარგებელი		(6,846,670)	(9,784,389)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(91,516)	(104,610)
საოპერაციო მოგება		351,239	307,248
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		(109,642)	205,901
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		241,597	513,149

შპს ინშურ სოფთ ჯორჯია / Insure Soft Georgia LLC

დირექტორი/ Director

სერგი სინიანსკი / Sergiy Synyansky 

თბილისი, საქართველო

01.09.2025

შპს ინშუარ სოფთ ჯორჯია
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართული ლარი)

	31.12.2024	31.12.2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(34,377)	20,944
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	56,351	21,101
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	21,974	42,045
სავალუტო კურსის ეფექტი	94,980	(221,151)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	136,943	316,049
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	253,897	136,943

შპს ინშუარ სოფთ ჯორჯია / Insure Soft Georgia LLC

დირექტორი/ Director

სერგეი სინიანსკი / Sergiy Synyansky 

თბილისი, საქართველო

01.09.2025

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ინშუარ სოფთ ჯორჯია“ (ს/კ 405517445) დაარსდა 2022 წლის 23 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავდაპირველად, კომპანიის წილის მფლობელი იყო სერგეი სინიანსკი, 19800527-04893, GB128955 (უკრაინა).

2024 წლის 01 ოქტომბრიდან დღემდე, კომპანიის 100% წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ი აი ეს გრუფ, ელ თი დი, 42244 /ბერმუდა/, 07.08.2008, ხოლო მისი დირექტორი სერგეი სინიანსკი, 19800527-04893, GB128955 (უკრაინა).

შპს „ინშუარ სოფთ ჯორჯია“ რეგისტრირებულია 2022 წლის 23 მარტს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა №34, კომერციული ფართი №-3, ბლოკი I. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405517445. დაწესებულების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერას და დეველოპმენტს სადაზღვევო სექტორში.

2. მომზადების საფუძველი

ანგარიშგება მომზადებულია ფასს და ბას სტანდარტების შესაბამისად და ეთანხმება მათ მოთხოვნებს. მონაცემები წარმოდგენილია ქართულ ლარში. აღრიცხვა წარმოებს დარიცხვის მეთოდით და მოსალოდნელი მოვლენების გათვალისწინებით. კომპანია აღრიცხვის მიზნებისთვის იყენებს 2 ვალუტას აშშ დოლარს და ლარს. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი). საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068

3.2 ძირითადი საშუალებები

დაწესებულება ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ

დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღწურვილობა	3-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაწესებულებაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა.

3.3 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ასანაზღაურებელ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

3.4 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

დაწესებულება ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ოფისის იჯარის და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა დაწესებულების მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად

4. ფული და ფულის ექვივალენტები

დაწესებულებას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულის საბალანსო ნაშთი შეადგენდა 253897 ლარს

5. სავაჭრო მოთხოვნები

2024 წლის ბოლოს დაწესებულებას ჰყავდა 2 დებიტორი - დაკავშირებული კომპანია, რომელსაც დაწესებულება უწევდა პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის და დეველოპმენტის მომსახურებას და რომლის დავალიანება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 5280127.30 ლარს.

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება სხვადასხვა მომსახურებისა და შესასრულებელი სამუშაოებისთვის მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსებისგან და ავანსად გადახდილ ქონების გადასახადისგან. აღნიშნული ავანსების ხარჯშის აღიარება მოხდება შესაბამისი მომსახურების მიღების შემდგომ. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსების საბალანსო ნაშთი შეადგენდა 10913.36 ლარს.

7. ძირითადი საშუალებები

დაწესებულება ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო და

სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებები წარმოადგენს ერთი ჯგუფი - ოფისის აღჭურვილობა, 31.12.2024 მისი საბალანსო ღირებულება შეადგენს 183100.27 ლარს

8. გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

9. საწესდებო კაპიტალი

01.01.2024-31.12.2024 პერიოდში დამფუძნებელს არ აქვს საწესდებო კაპიტალში შეტანა განხორციელებული.

10. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან

დაწესებულების შემოსავლის წყაროს წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის და დეველოპმენტის მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლები. 01.01.2024-31.12.2024 პერიოდში კომპანიის მიერ მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 7319745.70 ლარი.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2024 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	-
მიღებული ავანსები	4,021,489
გადასახდელი ხელფასები	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	<u>4,021,489</u>

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.